



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი



MES 6 20 00408238



25/05/2020

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ზოგადი განათლების დაწესებითი, საბაზო და საშულო საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო

პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

## 2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 22 ოქტომბერს სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №35/4586 (ცენტრში რეგისტრაციის №1440830; 23.10.2019) სააკრედიტაციო განაცხადი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) აკრედიტაციისთვის.

2.2 ცენტრის დირექტორის 2019 წლის 19 ნოემბრის №1120 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 24 იანვრის MES 9 20 00073125 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 17 მარტს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 28 აპრილს წარმოდგენილია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.7. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 11 მაისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, აკრედიტაციის საბჭოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების, სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება.

### 3. სარეზოლუციო ნაწილი


„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3<sup>1</sup> პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ათი ხმით არცერთის წინააღმდეგ,

#### გადაწყვეტა:


1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 22 მაისის MES 2 20 00402717 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 22 მაისს.
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში

წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
სხდომის მდივანი  
თიკანაშვილი ნიკა



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება <sup>1</sup>	ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი <sup>2</sup>	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება <sup>3</sup>	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური <sup>4</sup>	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე <sup>5</sup>	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით <sup>6</sup>	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი <sup>7</sup>	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60

<sup>1</sup> დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

<sup>2</sup> ავტორიზებული/დახელახალი აკრედიტაცია;

<sup>3</sup> საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

<sup>4</sup> ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

<sup>5</sup> ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

<sup>6</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

<sup>7</sup> სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/5) შესაბამისი კოდი

15	განხორციელების ადგილი <sup>8</sup>	საქართველო, თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5.
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 22 მაისი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა <sup>9</sup>	-
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2024 წლის 22 მაისი

<sup>8</sup> ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, კუჩის ნომერი

<sup>9</sup> საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში